

თამარ ჭანტურია

**მრავალმხრივი
ინტელექტის თეორია**

2012

თამარ ქანტურია,
მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

სამეცნიერო რედაქტორი:
მანანა მელიქიშვილი

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:
ლევან ბარბაქაძე

მასალის მომზადებისას განუული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით
ნინო ლაბარტყავას და საბა ჩიხლაძეს

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.

www.tpdg.ge

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

ამ თავში გააცნობით შემდეგ საკითხებს:

1. რას ნიშნავს ინტელექტი და როგორია მისი მახასიათებლები;
2. რა სახის ინტელექტი გააჩნიათ მოსწავლეებს და როგორ განისაზღვრება თითოეული მათგანი; მრავალმხრივი ინტელექტის თეორია საკლასო ოთახში;
3. კითხვარი ინტელექტის ტიპების გამოსავლენად;
4. რამდენიმე რჩევა მასწავლებლებისგან მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის საკლასო ოთახში გამოყენებასთან დაკავშირებით;
5. როგორ უნდა დაგეგმოთ გაკვეთილები ისე, რომ ინტელექტის რაც შეიძლება მეტ სფეროზე გაამახვილოთ ყურადღება;
6. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ გარდნერის თეორიის გამოყენებას უარყოფითი შედეგები არ მოჰყვეს.

1. საკითხის არსი

ინტელექტს (ლათ. *intellectus*) არაერთი განსაზღვრება აქვს - ადამიანის აზროვნების უნარი; გონება, ჭკუა; გონებრივი განვითარების დონე და ა.შ. ინტელექტის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ასაკი, რასა, სქესი, კულტურა, რელიგია. ფსიქოლოგთა უმრავლესობა გამოყოფს ინტელექტის შემდეგ მახასიათებლებს:

- **ცოდნის დაუფლების ანუ სწავლის უნარი** - ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ დარგში მაღალი ინტელექტი აქვთ, უფრო ადვილად და სწრაფად ითვისებენ ახალ ინფორმაციას, უფრო ადვილად სწავლობენ ახალი ამოცანების შესრულებას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად ინტელექტუალურები არიან (ანუ ის ადამიანები, რომელთაც უფრო დაბალი გონებრივი უნარი აქვთ ამ დარგში);
- **ადრე შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ახალ სიტუაციებში გამოყენების უნარი** - ინტელექტის საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ გააანალიზონ და გაიგონ ახალი მოვლენები და სიტუაციები;
- **ადაპტაციის უნარი** - ინტელექტის საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ ახალ მოვლენებსა და სიტუაციებზე და გადაჭრან პრობლემები.

ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი და მისი წინარე ცოდნა განსხვავებული ცნებებია. თუმცა, ამავდროულად, ინტელექტუალური აზროვნება და ქცევა დამოკიდებულია ადრე შეძენილ ცოდნაზე. რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა სამყაროსა და შესასრულებელი ამოცანების შესახებ, მით უფრო ინტელექტუალურად იქცევიან ისინი. აქედან გამომდინარე, ინტელექტი არ არის ურყევი და უცვლელი თვისება; მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და

გამოცდილების საშუალებით.

ზოგიერთი ფსიქოლოგი თვლის, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც ყველა ადამიანს გარკვეულწილად გააჩნია და რომელსაც ისინი სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად იყენებენ.

ამ თეორიის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის სხვადასხვა საზომი განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს, ეს შედეგები ერთმანეთის თანაფარდია: მოსწავლეები, რომელთაც მაღალი შედეგები აქვთ რომელიმე ერთი საზომით (მაგალითად, კითხვის უნარის შესამოწმებელი ტესტის მიხედვით), ყველა სხვა საზომითაც (მაგალითად, გეომეტრიის ტესტში), ზოგადად, მაღალ შედეგებს აღწევენ.

თუმცა, ინტელექტის საზომებს შორის კორელაცია (თანაფარდობა) ყოველთვის არ არის მაღალი. მოსწავლეები, რომლებიც უმაღლეს ქულებს იღებენ ზოგიერთ ტესტში, სხვა სახის ტესტში ყოველთვის ვერ აგროვებენ ყველაზე მაღალ ქულებს. აქედან გამომდინარე, ყველა ფსიქოლოგი როდი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ინტელექტი

არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც გარკვეულწილად ყველა ადამიანს გააჩნია. მათი აზრით, ინტელექტის ბევრი სხვადასხვა ტიპი არსებობს: ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა სფეროში უფრო მეტი ან ნაკლები ინტელექტი, ანუ გონებრივი უნარი გააჩნდეთ.

მეცნიერთა ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება ჰოვარდ გარდნერი. იგი თვლის, რომ ადამიანებს აქვთ, სულ მცირე, რვა ერთმანეთისგან განსხვავებული უნარი, ანუ **მრავალმხრივი ინტელექტი**.

ეს უნარებია: ლინგვისტური/ენობრივი, ლოგიკურ-მათემატიკური, ფიზიკურ-კინესთეტიკური, სივრცული, ნატურალისტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური (პიროვნებათშორისი),

ინტრაპერსონალური (შიდა პიროვნული) (თითოეული ტიპის ინტელექტის მახასიათებლების დანვრილებითი აღწერა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში, გვ. 10). გარდნერი მიიჩნევს, რომ ადამიანებს შეიძლება მეცხრე, ეგზისტენციალური ინტელექტიც გააჩნდეთ. ეგზისტენციალური ინტელექტი გულისხმობს ადამიანის უნარს, იფიქროს და იაზროვნოს ფილოსოფიურ და სასულიერო საკითხებზე (მაგალითად, ვინ ვართ ჩვენ? საიდან წარმოიშვნენ ადამიანები? რატომ ვკვდებით? რა არის სიცოცხლის არსი და მიზანი?).

გარდნერი მრავალმხრივი ინტელექტის დამადასტურებელ საბუთებს გვთავაზობს. იგი აღწერს ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებით დახელოვნებულნი არიან ერთ რომელიმე დარგში (მაგალითად, ხატვაში), მაგრამ სხვა დარგებში საშუალო უნარს ამჟღავნებენ. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანები სხეულისა თუ ტვინის სხვადასხვა დაზიანების მიღებისას ზოგჯერ მხოლოდ ერთი ტიპის ინტელექტთან დაკავშირებულ უნარებს კარგავენ. მაგალითად, ერთ ადამიანს შეიძლება ლაპარაკი უჭირდეს, მაშინ როცა მეორეს შეიძლება კარგად არ შეეძლოს ისეთი დავალებების შესრულება, რომლებიც სივრცული აზროვნების უნარს მოითხოვს.

ჰოვარდ გარდნერი, ინტელექტის სახეობებთან დაკავშირებით, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ:

1. ინტელექტის ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადამიანის გენეტიკისა და გარემო პირობების კომბინაცია;

ქვემოთ შევეცდებით მოკლედ განვმარტოთ, რა იგულისხმება გარემო პირობებში.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, არსებობს რიგი ფაქტორები,

რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ინტელექტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას. ესენია:

გეოგრაფიული (საცხოვრებელი გარემო, ბუნებასთან სიახლოვე მნიშვნელოვნად განაპირობებს ნატურალისტური ინტელექტის განვითარებას), **ოჯახური** (ოჯახის წევრებთან კომუნიკაციისას ყალიბდება ინტერპერსონალური და ინტრა-პერსონალური ინტელექტი), **სოციალური** (მატერიალური რესურსის სიმწირემ შესაძლოა საგრძნობლად შეაფერხოს გარკვეული ინტელექტის განვითარება), **სიტუაციური** (ყოველი კონკრეტული სიტუაცია წარმოაჩენს და განავითარებს პიროვნების ამა თუ იმ ტიპის ინტელექტს) და სხვ.

2. ადამიანთა ნაწილს შეიძლება საუცხოოდ ჰქონდეს განვითარებული რვიდან მხოლოდ ორი ან სამი ინტელექტი, დანარჩენ სახეობებში კი სრულიად წარუმატებელი იყოს, ხოლო გარკვეულ კატეგორიას კი შეიძლება ყველა ინტელექტი თანაბრად მაღალ დონეზე აღმოაჩნდეს.
3. ამა თუ იმ ინტელექტის განვითარება არ გულისხმობს მის ყველა სფეროში თანაბრად წარმატებულობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ადამიანს კარგად შეუძლია სხვადასხვა ისტორიის, ამბის მოყოლა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის ასევე მაღალ დონეზე ფლობს კითხვის ტექნიკას, მიუხედავად იმისა, რომ კითხვაც და ზეპირმეტყველებაც ლინგვისტური ინტელექტის შემადგენელი კომპონენტებია.
4. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის სახეობები სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მკვეთრადაა გამიჯნული, ყოველდღიურ რეალობაში ისინი მუდმივ ურთიერთკავშირშია. ამის საილუსტრაციოდ მარტივი მაგალითიც საკმარისია: კერძის მომზადებისას ადამიანი, ფაქტობრივად, ყველა სახის ინტელექტს ამჟღავნებს:

კითხულობს რეცეპტს (ლინგვისტური ინტელექტი), განსაზღვრავს ინგრედიენტების ოდენობას (ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი), ამუშავებს, ჭირს პროდუქტებს, ზელს ცომს (კინესთეტიკური ინტელექტი), აფორმებს კერძს (სივრცული ინტელექტი), ითვალისწინებს სხვების გემოვნებას და სურვილებს (ინტერპერსონალური ინტელექტი), თავად აქვს ჩამოყალიბებული გემოვნება, მოსწონს ან არ მოსწონს კონკრეტული კერძი (ინტრაპერსონალური ინტელექტი).

გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს რვავე ტიპის ინტელექტი გააჩნია და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარება. თუმცა, პატარა ასაკიდანვე ბავშვები უკვე იწყებენ გარკვეული მიდრეკილებების გამომჟღავნებას. როცა ბავშვები სკოლაში პირველად მიდიან, შეიძლება ითქვას, რომ მათ უკვე ჩამოყალიბებული აქვთ სწავლის სტილი: ისინი სწავლის დროს ზოგიერთი ტიპის ინტელექტს უფრო მეტად იყენებენ, ვიდრე სხვებს. გარდნერის ამგვარი კლასიფიკაცია გვეხმარება დავადგინოთ, თუ ვის როგორ ურჩევნია ან უადვილდება სწავლა, ინფორმაციის გადამუშავების რომელ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას. გამოყოფენ სწავლის ოთხ ძირითად სტილს:

- **სმენითი** - ამ უნარის მქონე ადამიანები უკეთ სწავლობენ მოსმენით;
- **მხედველობითი** - ვიზუალური ხატებით, სადემონსტრაციო თვალსაჩინოებებითა და სხეულის ენით;
- **ტაქტილური** (შეხებითი) - ჩანაწერების გაკეთებითა და დიაგრამების/გრაფიკების დახატვით;
- **კინესთეტიკური** (მოძრაობითი) - ურთიერთქმედებითა და კეთებით.

„მულტიმოდალობის ადამიანებად“ იწოდებიან ისინი,

რომლებიც ერთზე მეტ სწავლის ტიპს ანიჭებენ უპირატესობას.

მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის სტილი და სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათ ინდივიდუალურ უნარებს. შესაბამისად, აუცილებელია სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების ფლობა და გამოყენება, რაც სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მეტად ჩართვას განაპირობებს. სწავლის სტილი შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით.

! მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი გონებრივი უნარები ერთდროულად რამდენიმე სფეროში გააჩნია. სწორედ ამიტომ დაუშვებელია მოსწავლის კლასიფიცირება ერთი ინტელექტის სფეროში. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს მიმართოს, რომლებიც ბავშვის უნარებს არამხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს.

ამით თავიდან ავირიდებთ ბავშვთა დისკრიმინაციას და ხელს შევუწყობთ მათ მრავალმხრივ განვითარებას, სამომავლოდ კი მათთვის ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულების/პროფესიის შერჩევას.

სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას ბავშვის კარგად გაცნობა და მისი შედარებით განვითარებული თუ გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს.

2. მრავალმხრივი ინტელექტის ცხრილი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოკლედ არის აღწერილი თითოეული ინტელექტის მახასიათებლები და იმ ბავშვების უნარები, რომლებიც მიდრეკილებებს ავლენენ კონკრეტული ინტელექტის სფეროებში:

ინტელექტი	აღწერა	ტიპური პროფესია / როლი	სწავლების შესაფერისი მეთოდი / აქტივობა
<p>ლინგვისტური/ენობრივი – ენის ეფექტურად გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> გააჩნიათ წერისა და მეტყველების კარგი უნარი, ენებისადმი მიდრეკილება; ადვილად იგებენ რთულ ლინგვისტურ/ გრამატიკულ სტრუქტურებს; შეუძლიათ აზრის ნათლად გამოხატვა/ინტერპრეტაცია, დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა, გამოიჩინონ მჭევრმეტყველებით; უყვართ წერა, კითხვა, ამბების მოყოლა, სიტყვებთან დაკავშირებული თამაშები; აზროვნებენ სიტყვების საშუალებით; მართლვით იმასსოვრებენ თარიღებს; ადვილად ახდენენ აზრების გამოხატვას/ ინტერპრეტაციას. 	<ul style="list-style-type: none"> მასწავლებელი იურისტი ჟურნალისტი სპიკერი წამყვანი (ტელე/რადიო) ლინგვისტი თარჯიმანი რედაქტორი მწერალი საზოგადოებას-თან ურთიერთობის სამსახურის მუშაკი 	<ul style="list-style-type: none"> სავარჯიშოები სიტყვების/ აქტიური საუბრის გამოყენებით; დაწერილი ინსტრუქციები; მოხსენების/ პრეზენტაციის ავტორის როლი; რედაქტორის როლი.

<p>ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი - ლოგიკური აზროვნებისა და მათემატიკური ოპერაციების შესრულების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადვილად იგებენ მათემატიკურსა და მეცნიერულ პროცესებს; • თავისუფლად შეუძლიათ რიცხვებით მანიპულირება, მათემატიკური თეორიების დამტკიცება; • აქვთ ანალიტიკურად აზროვნების უნარი; • აზროვნებენ მსჯელობის საშუალებით; • უყვართ ექსპერიმენტების ჩატარება და სტრატეგიული თამაშები. 	<ul style="list-style-type: none"> • მეცნიერი • ინჟინერი • ბუნალტერი • ანალიტიკოსი • ბუკმეიკერი • ბანკირი • რეჟისორი • მოლაპარაკებების მწარმოებელი • ვაჭარი • დილერი • კომპიუტერის სპეციალისტი 	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური, სტრატეგიული თამაშები; • სავარჯიშოები რიცხვებზე, არითმეტიკული გამოთვლები; • კონკრეტული პროცესების დაგეგმვასა და მის შეფასებაში/ანალიზში მონაწილეობა.
---	---	---	---

<p>ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი- კოორდინაციის, სხეულის მარჯვენა-გამოყენების, მოქნილობის, სისწრაფისა და შეხების შეგრძნების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ ფიზიკური შეგრძნებების საშუალებით; • გონებრივ უნარს იყენებენ სხეულის მოძრაობის კონტროლისათვის; • კარგად სწავლობენ ფიზიკური ნარმოდგენების საშუალებით; • გააჩნიათ სხეულის მართვის კარგი უნარი; • შეუძლიათ ადვილად შეასრულონ ფიზიკური აქტივობები; • უყვართ ცეკვა, სირბილი, ხტუნვა, აშენება, შეხება, შესატების გამოყენება, სპორტული და ფიზიკური თამაშები. 	<ul style="list-style-type: none"> • მოცეკვავე • მსახიობი • სპორტსმენი • ჯარისკაცი • მეხანძრე • მძღოლი • მებალე 	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური აქტიურობა; • რაიმეს კეთების, შექმნის პროცესში ჩართვა; • ცდებში, ექსპერიმენტებში მონაწილეობა.
--	--	--	---

<p>ვიზუალური-სივრცული ინტელექტი - ვიზუალური სამყაროს სწორად აღქმის უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ გამოსახულებების, წარმოდგენებისა და ვიზუალური ხატების საშუალებით; • გააჩნიათ სამყაროს ვიზუალური აღქმისა და ვიზუალური გამოცდილების გამოყენების კარგი უნარი; • შეუძლიათ ვიზუალურად მსგავს ობიექტებს შორის მცირე განსხვავების დანახვა; • უყვართ დაგეგმარება, კონსტრუირება, ხატვა, გონებაში წარმოსახვა. 	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინერი • არქიტექტორი • კარიკატურისტი • გამომგონებელი • ინჟინერი • მოქანდაკე • მხატვარი • ფოტოგრაფი 	<ul style="list-style-type: none"> • ნახაზების, სურათების, ფილმების, სტუდენტური გრაფიკული თვალსაჩინოების გამოყენება.
--	--	--	---

<p>ნატურალის-ტური ინტელექტი - ბუნებაში არსებული სიცოცხლის ფორმების ამოცნობისა და განსხვავებების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ ბუნებასთან ურთიერთობით; • აქვთ ბუნების წვდომის განსაკუთრებული უნარი; • მგრძნობიარენი არიან სამყაროში მიმდინარე მოვლენებისადმი; ჰარმონიული და არაჰარმონიული მოვლენებისადმი; • შეუძლიათ ბუნების შესახებ ცოდნის გამოყენება; • უყვართ ბუნებასთან სიახლოვე, ცხოველებთან თამაში, ბუნების გამოკვლევა/შესწავლა, დედამიწაზე ზრუნვა. 	<ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგი • ფერმერი • ეკოლოგი • მეზაღვე 	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილის ბუნების წიაღში გაზნოორციელება.
---	---	--	--

<p>მუსიკალური ინტელექტი – მუსიკის შექმნის, აღქმისა და შეფასების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ რიტმისა და მელოდიების საშუალებით; • აქვთ ბგერის სიმაღლის, ტონისა და რიტმის შეგრძნების კარგი უნარი; • უადვილდებათ მუსიკის საშუალებით სწავლა; • ფლობენ მუსიკალური ნაწარმოების შესრულების, შექმნისა და შეფასების უნარებს; • შეუძლიათ მუსიკის საშუალებით აზრისა და გრძნობების გამოხატვა; • უყვართ სიმღერა, ლილინი, მოსმენა, ხელების კაკუნი, ფეხების ბაკუნი. 	<ul style="list-style-type: none"> • მუსიკოსი • მომღერალი • მუსიკალური წამყვანი (DJ) • მუსიკალური პროდიუსერი • ფორტეპიანოს ამწყობი • აკუსტიკური ინჟინერი • ანიმატორი • კომპოზიტორი 	<ul style="list-style-type: none"> • რაიმე ახლის შესასწავლად სავარჯიშოები ბგერების, მუსიკის, სიმღერის, რიტმის გამოყენებით.
---	---	--	---

<p>ინტერპერსონალური ინტელექტი - სხვა ადამიანთა განწყობების, განზრახვების, მოტივაციის, გრძობების აღქმისა და დანახვის უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ სხვა ადამიანებთან იდეების გაზიარების საშუალებით; • გააჩნიათ სხვების მოტივირების უნარი; • შეუძლიათ სხვათა გრძობების, ხასიათისა და სურვილების თანაცდვა; • ხშირად ასრულებენ მედიატორის/ლიდერის როლს კონფლიქტის მოგვარებაში; • უყვართ გაძლოლა, ორგანიზება, კავშირების დამყარება, მანიპულირება, მედიტირება, ჯგუფური თამაშები, სოციალური თავყრილობები. 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების სამსახურის თანამშრომელი • ექიმი • ფსიქოლოგი • მასწავლებელი • რეკლამის სპეციალისტი • ლიდერი • მრჩეველი • მწვრთნელი • სოციალური მუშაკი 	<ul style="list-style-type: none"> • ურთიერთ-სწავლება; • ჯგუფური მუშაობა; • დისკუსია • პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა.
---	---	--	--

<p>ინტრაპერ-სონალური ინტელექტი - თვითშემეცნების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აზროვნებენ საკუთარი მოთხოვნილებების, გრძნობებისა და მიზნების მიხედვით; • ფლობენ საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის პროცესის მართვის უნარებს; • ზუსტად იციან, რა სურთ და ამ ცოდნას იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად; • გააჩნიათ თვითდისციპლინის უნარი; • შეუძლიათ საკუთარი საქციელის მოტივის ამოცნობა; • უყვართ დამოუკიდებლად მუშაობა, მიზნების დასახვა, ოცნება, დაგეგმვა, ფიქრი, მარტო ყოფნა. 	<ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, რომელიც სიღრმისეულად იცნობს საკუთარ თავს. 	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი მუშაობა; • თვითშეფასებაზე დაფუძნებული სავარჯიშოები (სიტუაციის ანალიზი, სიტუაციური ამოცანები, თვითშეფასების კითხვარები, ნერილები, ორმხრივ ჩანაწერთა დღიურები, პრეზენტაციები და სხვ.).
---	--	--	---

3. გამოყენება სასწავლო პროცესში

გარდნერი გვიჩვენებს, გაკვეთილები ისე დავგეგმოთ, რომ ინტელექტის რაც შეიძლება მეტ სფეროზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც საკლასო ოთახში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას იყენებს, გაკვეთილის ნაწილს ლექციის კითხვასა და დაფაზე წერას უთმობს (ლინგვისტური ინტელექტი); ლაპარაკის დროს ეფექტურად იყენებს ჟესტებს (კინესთეტიკური ინტელექტი) და რიტმულად აკეთებს აქცენტს სხვადასხვა სიტყვასა და ფრაზაზე (მუსიკალური ინტელექტი). აგრეთვე, დაფაზე ხატავს, ან ვიზუალურ მასალას უჩვენებს მოსწავლეებს, რათა უფრო კარგად განმარტოს ახსნილი მასალა (სივრცული ინტელექტი). ხშირად ასმენინებს ბავშვებს მუსიკას, მაგალითად გაკვეთილის დაწყების ან ახალ დავალებაზე გადასვლის წინ (მუსიკალური ინტელექტი), ან უშუალოდ მუშაობის პროცესში. მოსწავლეებს აძლევს დროს, რომ დაფიქრდნენ და გააანალიზონ, თუ რამდენად კარგად ესმით ახალი მასალა და რისი უნარი და შესაძლებლობები აქვთ. ასევე, ეხმარება მოსწავლეებს, რომ ახალშეძენილი ცოდნა საკუთარ გამოცდილებასა და გრძნობებს დაუკავშირონ (ინტრაპერსონალური ინტელექტი). ხშირად აძლევს მოსწავლეებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მაგალითად, სთხოვს, რომ წყვილ-წყვილად ან ჯგუფებში იმუშაონ, გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები ერთმანეთს (ინტერპერსონალური ინტელექტი). როცა შესაძლებელია, ახალ მასალას ბუნებასთან აკავშირებს (ნატურალისტური ინტელექტი) და ასე შემდეგ. გარდნერი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ მასწავლებლები დაეხმარონ მოსწავლეებს თავიანთი უნარების უკეთ შეცნობაში.

გარდნერი გვაფრთხილებს, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი თითოეული ინტელექტის ყველა საგანზე

ან თემაზე ეფექტურად მორგება. მისი აზრით, ასევე არაეფექტურია ერთი ტიპის ინტელექტთან დაკავშირებული მოქმედების ფონად გამოყენება, როცა მოსწავლეები სხვა ტიპის ინტელექტთან დაკავშირებულ დავალებზე მუშაობენ. მაგალითად, ფონად მუსიკის გამოყენება, როცა ბავშვები მათემატიკის ამოცანების ამოხსნაზე მუშაობენ, გარდნერის თეორიის არასწორი გამოყენებაა.

გარდნერი თვლის, რომ სხვადასხვა სახის ინტელექტი განსხვავებულ კულტურებში სხვადასხვაგვარად ვლინდება. მაგალითად, სივრცული ინტელექტი დასავლურ კულტურებში შეიძლება გამოვლინდეს ხატვაში, ქანდაკებაში ან გეომეტრიაში. ხოლო კალაჰარის უდაბნოში იგი შეიძლება აისახოს ადგილობრივ მაცხოვრებელთა უნარში, დაიმახსოვრონ და ამოიცნონ სხვადასხვა ადგილი ასობით კვადრატული კილომეტრის რადიუსში.

არსებობს რამდენიმე გზა, თუ როგორ შეიძლება მასწავლებელმა განსაზღვროს მოსწავლეების მიდრეკილებები და ინტერესები, კერძოდ:

- სკოლის ფსიქოლოგის დახმარებით;
- სხვა საგნების პედაგოგებთან აქტიური კომუნიკაციით;
- მოსწავლეთა შესახებ არსებული დოკუმენტაციის შესწავლით;
- ბავშვებთან აქტიური და ინტენსიური ურთიერთობით;
- მშობლებთან მუდმივი თანამშრომლობით.

გთავაზობთ ერთგვარ კითხვარს, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლის ინტელექტუალური მიდრეკილებების განსაზღვრაში. საილუსტრაციოდ თითოეული ინტელექტისთვის შევარჩიეთ ოთხი-ხუთი ძირითადი შეკითხვა. სასურველია მასწავლებლის მიერ კითხვების მოდიფიცირება (რაოდენობის გაზრდა, გართულება/ გამარტივება) მოსწავლეთა ასაკისა და სოციალური

გათვალისწინებით. კითხვარი შეიძლება შეივსოს მასწავლებლის დახმარებით, ან ბავშვების მიერ, ინდივიდუალურად.

თითოეულ კითხვას გაეცით შესაბამისი პასუხი: **1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხშირად, 4 - ყოველთვის.**

ყოველი კომპონენტის პასუხების დაჯამება მეტ-ნაკლებად ცხადყოფს ცალკეული მოსწავლის მიდრეკილებებსა და ინტერესებს.

შენიშვნა: აქვე აღვნიშნავთ, რომ კითხვარი მხოლოდ რეკომენდაციის ფორმით არის შემოთავაზებული. მოსწავლეთა ინტელექტებს შეგიძიათ პირობითად ქულებიც მიანიჭოთ. მასწავლებელმა, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, კითხვარი უნდა გამოიყენოს, როგორც მონაცემთა ერთგვარი დაჯამებისა და ანალიზისთვის დამხმარე მარტივი რესურსი. მნიშვნელოვანია, რომ კითხვარმა ერთგვარად უარყოფითი შედეგი არ გამოიღოს, კერძოდ, მისი ქულების მეშვეობით არ მოხდეს ცალკეული ინტელექტის ჩარჩოებში ბავშვის ხელოვნურად მოქცევა.

ლინგვისტური ინტელექტი	
მიყვარს ამბების მოფიქრება	
შემიძლია ციტატების /ფრაზების ადვილად დამახსოვრება	
უცხო ენა ჩემი საყვარელი საგანია	
მიყვარს კითხვა	

ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი	
მათემატიკა ჩემი საყვარელი საგანია	
ადვილად ვიმახსოვრებ ტელეფონის ნომრებს	
ვანგარიშობ თითების გარეშე	
მიყვარს სამაგიდო თამაშები (ჭადრაკი, „მენეჯერი“ და სხვ.)	
მიყვარს ნივთების დაშლა-აწყობა	

სივრცული ინტელექტი	
შემიძლია ცხრილების /გრაფიკების ადვილად გაგება	
კარგად ვიმახსოვრებ იმ ადგილებს, სადაც ერთხელ მაინც ვიყავი	
მაქვს წარმოსახვის კარგი უნარი	
ხელოვნება ჩემი საყვარელი საგანია	

მუსიკალური ინტელექტი	
შემიძლია მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა	
გულში ყოველთვის ვლილინებ	
მიყვარს მუსიკის გაკვეთილები	
მიყვარს სიმღერა	

კინესთეტიკური ინტელექტი	
შემიძლია ცეკვა	
მიყვარს სპორტული თამაშები	
მიყვარს ბურთით თამაში	
მიყვარს ძერწვა	

ინტერპერსონალური ინტელექტი	
მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა	
განვიცდი, როდესაც ვინმე ტირის და ვერ ვეხმარები	
მიყვარს გუნდური თამაშები	
მეგობრები ხშირად მეკითხებიან რჩევას	

ინტრაპერსონალური ინტელექტი	
ყოველთვის მონესრიგებული /ორგანიზებული ვარ	
მომწონს ინდივიდუალური სპორტის სახეობები	
ყოველთვის ვიცი, რას ვგრძნობ	
მიყვარს მარტო ყოფნა	
ვადგენ სამომავლო გეგმებს	

ნატურალისტური ინტელექტი	
მიყვარს ცხოველები	
მიყვარს ექსკურსიაზე, ზოოპარკში, ბოტანიკურ ბაღში სიარული	
მიყვარს ბუნებაზე დაკვირვება	
მიყვარს მცენარეებისა და ცოცხალი არსებების მოვლა	

5. სიტუაციური მაგალითები

ერთი ლექსი სხვადასხვა ინტელექტისთვის

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლის მიერ ერთ სფეროში მიღწეული წარმატება თუ წარუმატებლობა არ გულისხმობს წარმატების/მარცხის იმავე დონეს სხვა სფეროში. მასწავლებელმა ყველანაირად უნდა აარიდოს თავი მოსწავლეების კატეგორიზებას ე.წ. ნიჭიერებად და უნიჭობად, ვინაიდან მოსწავლის ნიჭის გამოვლენის მრავალი საშუალება არსებობს. სამწუხაროდ, სკოლების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს სწავლების იმგვარ პრინციპს, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ ლინგვისტური და ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“ სწორედ იმას გულისხმობს, რომ მასწავლებლებმა შესასწავლი მასალა შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი ხერხებით უნდა მიანოდონ მოსწავლეებს და მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მათგანის მონაცემები.

ზემოთ მოცემულის საილუსტრაციოდ, შევეცდებით, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ შეიძლება ერთი და იმავე მასალის (ამ შემთხვევაში, პოეტური ნაწარმოების) დამუშავება სხვადასხვა სახის ინტელექტის გათვალისწინებით.

დასამუშავებელი მასალა: ვახუშტი კოტეტიშვილის „თოვლი“

კლასი: V

თოვლი

თეთრი დათვივით მოვიდა თოვლი,
და მხარზე უხმოდ დაგვადო თათი.
თეთრი ფიფქები ცვიოდნენ თრთოლვით,
ჩვენ არ გვესმოდა ჩურჩული მათი.
ჩვენ შინ დავბრუნდით შორ გზაზე მოვლით,
ჩვენ თვითონ თოვლის ფანტელებს ვგავდით.
თეთრი დათვივით გამოგვყვა თოვლი
და აივანზეც შემოჰყო თათი.

ვახუშტი კოტეტიშვილი

1. მოსწავლეები ინდივიდუალურად, ჩუმად კითხულობენ მოცემულ ლექსს. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ლინგვისტური ინტელექტის მქონე ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს, რომ მათ თავიანთი სიტყვებით განუმარტონ კლასს თითოეული ტაეპის შინაარსი (ლინგვისტური ინტელექტი);
2. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტის მქონე მოსწავლეები ავსებენ ცხრილს, შესასწავლ ლექსში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი);
აღნიშნული აქტივობის ერთ-ერთი ვარიანტი იხილეთ ქვემოთ (**აქტივობა №6**);
3. მოსწავლეები, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, ქმნიან ლექსის ილუსტრაციებს, ამზადებენ დათოვლილი სახლის

მაკეტს, თეთრი დათვის ფიგურას ბამბისგან, დათვის ნილაბს და სხვ. (სივრცული ინტელექტი);

4. მოსწავლეები არჩევენ ლექსისთვის მუსიკალურ თემას, არსებობის შემთხვევაში, მოიძიებენ ლექსზე შექმნილ სიმღერას (მუსიკალური ინტელექტი, ინტრაპერსონალური ინტელექტი);
5. მასწავლებელი იყენებს მეთოდს „Improvised Drama“, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებს ევალებათ (კლასშივე გარკვეული მომზადების შემდეგ) განასახიერონ ლექსის შინაარსი (კინესთეტიკური ინტელექტი, ინტერპერსონალური ინტელექტი);
6. ნატურალისტური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს მასწავლებელი სთხოვს, ისაუბრონ ლექსში აღწერილ წელიწადის დროზე, ზამთრისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენებზე, გარემოზე, განწყობაზე. სასურველია, ბავშვებმა ზამთარში ისწავლონ მოცემული ლექსი, მასწავლებელი კი სთხოვს მათ, დააკვირდნენ დათოვლილ გარემოს, თუ რამდენად ემთხვევა ნაწარმოებში აღწერილი ზამთრის სურათი მათი ფანჯრიდან დანახულ პეიზაჟს (ნატურალისტური ინტელექტი);
7. ლექსის დამუშავების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს, რომ ინდივიდუალურად გადმოსცენ თავიანთი შთაბეჭდილება, განწყობა და ნაწარმოებით აღძრული ემოციები, კერძოდ, დაწერონ მცირე ზომის ჩანახატი, ესე, თხზულება, შექმნან ილუსტრაცია და სხვ. (ინტრაპერსონალური ინტელექტი, ლინგვისტური ინტელექტი, სივრცული ინტელექტი).

ჩვენ შევეცადეთ, ცხადად წარმოგვედგინა, თუ როგორ შეიძლება ერთი სასწავლო მასალა მოერგოს ინტელექტის სხვადასხვა

სახეობას. ქვემოთ აღწერილი აქტივობები კი თითოეული ინტელექტის განვითარებისთვისა თუ სრულყოფისთვისაა განკუთვნილი. ყოველ აქტივობას, დაწვრილებით აღწერასთან ერთად, თან ახლავს შესაძლო დავალებებისა თუ სავარჯიშოების ჩამონათვალი, რაც, ვფიქრობთ, მასწავლებელს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მომავალში აქტივობების დამოუკიდებლად შერჩევასა და განხორციელებაში.

შენიშვნა: ძალზე სასურველია, რომ მასწავლებლებმა მოცემული აქტივობები გამოიყენონ მრავალფეროვანი სამუშაოს შესასრულებლად: პროექტების, ზეპირი თუ წერილობითი პრეზენტაციების მომზადებისას, სხვადასხვა ტიპის ტექსტების თხზვის პროცესში, გარემოზე დაკვირვებისა და ცდების ჩატარებისას და ა.შ. აგრეთვე, რეკომენდებულია მუშაობის ფორმების ხშირი შეცვლა - ინდივიდუალური/წყვილური/ჯგუფური (მონაცემთა ერთგვარობის, განსხვავებულობის, სურვილის, შემთხვევითი შერჩევის მიხედვით).

აქტივობა №1

განკუთვნილია I-II კლასებისთვის.

ავითარებს ლინგვისტურ, კინესთეტიკურ, ინტერპერსონალურ ინტელექტს.

მასწავლებელი კლასს ყოფს 7-10 კაციან ჯგუფებად და ურიგებს წინასწარ დამზადებულ, მუყაოს მოზრდილ ბარათებს, რომლებზედაც მათ მიერ უკვე შესწავლილი ასოებია გამოსახული (თითო ბარათზე თითო ასო). ბარათებზე დამაგრებულია თასმა, რომლითაც ბავშვები მათ გულზე დაიკიდებენ. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას, რომ ააწყონ ესა თუ ის სიტყვა (შესაძლებელია, ყველა ჯგუფისთვის შეირჩეს

ერთი და იგივე, ან განსხვავებული სიტყვები). მოსწავლეებმა ხმის ამოუღებლად უნდა მოახერხონ დასახელებული სიტყვის აწყობა ანუ თითოეულმა მათგანმა თავისი ბარათის შესაბამისი ადგილი უნდა დაიკავოს მწკრივში. სიტყვის აწყობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფის წევრებს, რიგის მიხედვით დაასახელონ თავიანთი ასოები, შემდეგ კი ერთად წარმოთქვან აწყობილი სიტყვა.

შენიშვნა:

1. მასწავლებელს შეუძლია ყველაზე ხშირად გამოყენებადი ასოები (მაგ. ხმოვნები) დამატებითი ბარათების სახით დაურიგოს თითოეულ ჯგუფს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებმა გამოიყენონ ისინი და სიტყვის აწყობისას მიუჩინონ შესაბამისი ადგილი.
2. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იმგვარად შეარჩიოს სიტყვები, რომ აქტივობაში ჯგუფის ყველა წევრი იყოს ჩართული.

აქტივობა №2

განკუთვნილია I კლასისთვის.

ავითარებს ლოგიკურ-მათემატიკურ, სივრცულ, კინესთეტიკურ, ინტერპერსონალურ ინტელექტს.

აქტივობა შეიძლება გამოყენებული იყოს მათემატიკაში უკვე შესწავლილი ციფრის განსამტკიცებლად. მასწავლებელი ყოფს კლასს წყვილებად/ჯგუფებად და თითოეულ წყვილს/ჯგუფს აძლევს განსხვავებული ტიპის დავალებას.

I ჯგუფი/წყვილი: მოსწავლეებმა პლასტელინისგან უნდა გამოძერწონ, ან ლობიოს მარცვლებისგან ააწყონ,

ან ფერადი ფურცლებისგან გამოჭრან ციფრი 6.

- II **ჯგუფი/წყვილი:** მოსწავლეებმა გროვად უნდა დააწყონ 6-ის შესაბამისი რაოდენობის ნებისმიერი ნივთი (მაგ. კენჭი, ფოთოლი, კალამი და სხვ.).
- III **ჯგუფი/წყვილი:** მოსწავლეებმა უნდა დახატონ ციფრი 6 და მიახლოებულად ის მათთვის ნაცნობ რაიმე საგანს/არსებას (მაგ. კაცუნას, ამოტრიალებულ მძიმეს, მთვარეს და სხვ.).
- IV **ჯგუფი/წყვილი:** მოსწავლეები თავად უნდა დადგინონ ციფრის შესაბამისი რაოდენობით (საჭიროების შემთხვევაში, სთხოვონ სხვა ჯგუფის წევრებს დახმარება).
- V **ჯგუფი/წყვილი:** მოსწავლეები მოცემული ციფრის რაოდენობის შესაბამისი გროვიდან გამოყოფენ ორეულებს, სამეულებს.

აქტივობა №3

განკუთვნილია III-XII კლასებისთვის.

ავითარებს ლინგვისტურ, სივრცულ, მუსიკალურ, ინტრაპერსონალურ ინტელექტს.

მუსიკის მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს რაიმე მუსიკალურ ნაწარმოებს და სთხოვს, გადმოსცენ ნაწარმოებით გამონვეული ემოცია. ბავშვებს, სურვილის მიხედვით, შეუძლიათ შექმნან მუსიკის შესაბამისი ნახატი ან მცირე ზომის თხზულება.

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები, სურვილის შემთხვევაში, თავიანთ ნამუშევრებს წარადგენენ „საავტორო სკამის“ მეშვეობით.

აქტივობა №4 (Tableau Vivant)

განკუთვნილია I-XII კლასებისთვის.

ავითარებს ლინგვისტურ, სივრცულ, მუსიკალურ, კინესთეტიკურ, ინტერპერსონალურ, ნატურალისტურ ინტელექტს.

ხელოვნების მასწავლებელი კლასს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად, ურიგებს მათ წინასწარ შერჩეულ ფოტოსურათებს/ცნობილი ნახატების რეპროდუქციებს და სთხოვს მოცემული სურათების გაცოცხლებას. ბავშვებმა შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა გაიმეორონ ნახატზე/ფოტოზე ასახული პერსონაჟების პოზა, გამომეტყველება და განწყობა. მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული დრო მოსათათბირებლად, მცირე რეკვიზიტის, კოსტიუმების მოსაძიებლად ან დასამზადებლად და როლების გადასანაწილებლად. ჯგუფის თითოეულ წევრს, მისი ინტელექტის გათვალისწინებით, ეკისრება გარკვეული მოვალეობა:

- 1. ლინგვისტური ინტელექტის** მქონე მოსწავლეს მასწავლებელი ანიჭებს რეჟისორის ფუნქციას - მან მკაფიოდ, ყველასთვის გასაგებად უნდა განუმარტოს ჯგუფის ყველა წევრს, თუ რა როლი უნდა შეასრულოს თითოეულმა მათგანმა.
- 2. სივრცული ინტელექტის** მქონე მოსწავლეს დაევალება ჯგუფისათვის კოსტიუმებისა და მცირე რეკვიზიტის დამზადება/მოძიება.

3. **მუსიკალური ინტელექტის** მქონე მოსწავლე პრეზენტაციის ფონად შეარჩევს შესაბამის მელოდიას.
4. **კინესთეტიკური ინტელექტის** განვითარებას ემსახურება პრეზენტაციის ძირითადი ნაწილი, როდესაც მოსწავლეები განასახიერებენ ნახატზე/ფოტოზე გამოსახულ გმირებს.
5. **ინტერპერსონალური ინტელექტის** ჩამოყალიბებას/ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ აქტივობის სრულყოფილად შესასრულებლად საჭირო ჯგუფური მუშაობა.
6. **ნატურალისტური ინტელექტის** გამოვლენის კარგი საშუალება იქნება, თუ ამ ინტელექტის მქონე მოსწავლე შეარჩევს პრეზენტაციისთვის შესაბამის გარემოს (*სკოლის ეზოს ან ახლომდებარე სკვერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში*).

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობის გამოყენება თავისუფლად შესაძლებელია ქართულის გაკვეთილზეც - მოსწავლეები ტექსტზე დაყრდნობით გააცოცხლებენ ამა თუ იმ ნაწარმოების სხვადასხვა ეპიზოდს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტექსტთან მრავალგზის მიბრუნებას და მის სიღრმისეულ ანალიზს.

აქტივობა №5

განკუთვნილია I-VI კლასებისთვის.

ავითარებს სივრცულ, ინტერპერსონალურ, ინტრაპერსონალურ, ნატურალისტურ ინტელექტს.

ბუნების მასწავლებელი მოსწავლეებს ამზადებინებს პერბარიუმებს/აპლიკაციებს/მარტივ კომპოზიციებს. ამისათვის

იგი ბავშვებთან ერთად გადის სკოლის ეზოში ან ახლომდებარე ბაღში და ავალებს მათ მასალის შერჩევას. შეგროვილი მასალით (ფოთლები, ყვავილები, გორჩები, ტოტები, კენჭები და ა.შ.) მოსწავლეები, ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით, ქმნიან მათთვის სასურველ კომპოზიციებს. მუშაობის დასრულების შემდეგ, სასურველია, მოეწყოს ბავშვების ნამუშევრების გამოფენა.

აქტივობა №6

განკუთვნილია I-II კლასებისთვის.

ავითარებს ლინგვისტურ, ლოგიკურ-მათემატიკურ, ინტრაპერსონალურ ინტელექტს.

ქართულის მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ურიგებს ფურცლებს, რომლებზედაც შესასწავლი ლექსი და ერთგვარი ცხრილია წარმოდგენილი (ცხრილის ნიმუში იხილეთ ქვემოთ). ბავშვებმა უნდა მოძებნონ ცხრილში ჩანერილი ესა თუ ის სიტყვა ლექსის რომელ სტრიქონშია მოცემული და მონიშნონ (+, -) შესაბამისი უჯრა. მასწავლებელი მკაფიოდ განუმარტავს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა შეივსოს ცხრილი და აძლევს განსაზღვრულ დროს სამუშაოს შესასრულებლად.

- შენიშვნა:**
1. აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებშიც;
 2. მოდიფიკაციის/გართულების შემთხვევაში, აქტივობის გამოყენება შესაძლებელია დანყებითი საფეხურის ზედა კლასებშიც.

ნიმუში:

არაკი

მგელი ბატკანს შეხვდა ნავსად, შეკრთა, დაიბანდა.
 ცად კი ერთი კასრის მსგავსი მთვარის დისკო ჩანდა.
 მგელმა ბატკანს ჰკითხა: კასრის მსგავსი რაა გარეთ?
 ბატკანმა თქვა: ჩემი აზრით, ცაზე ბრწყინავს მთვარე.
 მგელმა ბატკანს, რა გგონიათ, გაჰკრა კბილი ბასრი,
 როგორ ბედავ, იქონიო საკუთარი აზრი!

გალაკტიონ ტაბიძე

	I სტრიქ.	II სტრიქ.	III სტრიქ.	IV სტრიქ.	V სტრიქ.	VI სტრიქ.
ჰკითხა			+			
ბატკანი	+		+	+	+	
ბრწყინავს				+		
კასრი		+	+			
მთვარე		+		+		
მგელი	+		+		+	
აზრი						+
კბილი					+	
ცა		+		+		

აქტივობა №7 („ცოცხალი კუთხე“)

განკუთვნილია I-VII კლასებისთვის.

ავითარებს ნატურალისტურ ინტელექტს.

ბუნების მასწავლებელი საკლასო ოთახში ბავშვებთან ერთად აწყობს ე.წ. „ცოცხალ კუთხეს“. მოსწავლეები ერთობლივად შეარჩევენ მცენარეებს ან ცოცხალ არსებებს (თევზი, ზაზუნა, კუ), რომელთაც კლასში მიუჩენენ ბინას და იზრუნებენ მათზე. მოსწავლეებს, მათი სურვილის მიხედვით, დაევალებათ მცენარეების მორწყვა, ცოცხალი არსებების გამოკვება, მათი საცხოვრებლის დასუფთავება და სხვ. შესაძლებელია, შედარებით მაღალი კლასის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ მცენარეთა გადარგვის, გამრავლების და ა.შ. საქმიანობებში და ამ გზით განამტკიცონ გაკვეთილზე შეძენილი თეორიული ცოდნა. პროცესი გაცილებით ნაყოფიერი გახდება, თუ ბუნების მასწავლებელი ამ აქტივობის განხორციელებაში ჩართავს კლასის დამრიგებელსაც.

ქვემოთ მოცემულია ჩვენ მიერ აღწერილი აქტივობების ცხრილი, რომელიც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ამა თუ იმ ინტელექტის განმავითარებელი აქტივობის შერჩევას.

აქტივობების ცხრილი

	ლინგვის- ტური ინტე- ლექტი	ლოგიკურ- მათმატი- კური ინტე- ლექტი	სივრცული ინტე- ლექტი	მუსიკა- ლური ინტე- ლექტი	კინესთე- ტიკური ინტე- ლექტი	ინტერპერ- სონალური ინტე- ლექტი	ინტრაპერ- სონალური ინტე- ლექტი	ნატურა- ლისტური ინტე- ლექტი
აქტივობა №1	+				+	+		
აქტივობა №2		+			+	+		
აქტივობა №3	+			+			+	
აქტივობა №4	+			+	+	+		+
აქტივობა №5						+		+
აქტივობა №6	+						+	
აქტივობა №7								+

5. კრიტიკა / რისკები

გარდნერისეული მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ყველასთვის მისაღები არაა. ზოგიერთი მკვლევარი მას აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ ის, რასაც გარდნერი მრავალმხრივ ინტელექტად ყოფს, სინამდვილეში ერთი ინტელექტია.

გარდნერის თეორიის მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტები ამგვარია:

- ყოველთვის არ არის შესაძლებელი თითოეული ინტელექტის ყველა საგანზე ან თემაზე ეფექტურად მორგება;
- გარდნერის თეორიის პრაქტიკაში არასწორი გამოყენების რისკი: ინტელექტების ხელოვნური დაყოფა მოსწავლეებში უარყოფით შედეგებს იწვევს;
- თითოეული ბავშვის ინტელექტის თავისებურების დადგენის სირთულე - მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია გარკვეული კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პიროვნების მიდრეკილებების მეტ-ნაკლებად დადგენა, მრავალმხრივი ინტელექტების გაზომვის უნივერსალური და სრულყოფილი ტესტი არ არსებობს;
- ინტელექტების კლასიფიკაცია არასრულია;
- გარდნერის თეორიის გამოყენება რეალურ კონტექსტში ანუ ყველა მოსწავლის უნარების გათვალისწინება საკლასო სივრცეში ძალზე რთულია/ არაპრაქტიკულია;
- გარდნერის თეორიის განხორციელება საჭიროებს რესურსების სიმრავლეს - მათ მოძიებას, დამზადებას, შექმნას.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილისა, სკოლებისა და მასწავლებლების გარკვეული ნაწილი გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას და მის მთავარ ღირსებებს (მოსწავლის ინტელექტის/ ნიჭის/უნარების განვითარება, სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაბმა, მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება) წარმატებით იყენებს საკლასო ოთახში მიღწევების გასაუმჯობესებლად.

6. შეკითხვები პედაგოგიური რეფლექსიისათვის

ა) რამდენად იზიარებთ გარდნერის თეორიას? მის კრიტიკას? ჩამოთვალეთ გარდნერის თეორიის 3 ძლიერი და 3 სუსტი მხარე.

ბ) ხედავთ თუ არა რაიმე კავშირს გაკვეთილზე თქვენ მიერ გამოყენებულ სტრატეგიებსა და ამ თეორიას შორის? დადებითი პასუხის შემთხვევაში, განმარტეთ, კონკრეტულად რას გულისხმობთ.

შენიშვნებისათვის

Lined writing area consisting of multiple horizontal lines.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Armstrong, T. (2009). Multiple Intelligences in the Classroom (3rd ed.), Alexandria, Virginia USA, Association for Supervision and Curriculum Development
2. Gardner, H. (1993). Frames of Mind, The Theory of Multiple Intelligences, New York BasicBooks
3. Gardner, H. (2006), Multiple intelligences: new horizons, New York , Basics Books
4. Ormond, J. E. (2008a). Educational Psychology, Developing Learners (6th ed.), Upper Saddle River, NJ: Pearson
5. Parsons, R. D., Hinson, S. L., Sardo-Brown, D. (), Educational Psychology, A Practitioner-ResearCer Model of Teaching,
6. Slavin, R. E. (). Educational Psychology, Theory and Practice (8th ed.)
7. ჯანაშია, ნ., მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

http://www.businessballs.com/freematerialsinexcel/free_multiple_intelligences_test.xls

<http://www.infed.org/thinkers/gardner.htm>

აქტივობების მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს: მაია ლორთქიფანიძემ - მე-6 (საავტორო სკოლის მასწავლებელი), ხათუნა რაზმაძემ (ბრიტანულ-ქართული აკადემიის მასწავლებელი).

